© Hannah Maule-ffinch / Save the Children

მიმართულების განსაზღვრა:

ბავშვის უფლებათა ინტეგრაცია ბიზნესის პასუხისმგებლიან ქცევაში.

საინფორმაციო ბუკლეტი

12345678910

unicef for every child

UN GLOBAL COMPACT United Nations Global Compact

Save the Children

გამოქვეყნების თარიღი: ივნისი, 2022 წ.

სამადლობელი

ავტორი – ენდრიუ მოუსონი, ბავშვთა უფლებების და ბიზნესის ხელმძღვანელი, UNICEF.

მხარდაჭერილია Caleb Segun Lean-ის მიერ.

მიმოხილულია შემდეგი პირების მიერ – პროფესორი სურია დევა; UNICEF: კორნელიუს უილიამსი, სუმაირა ჩოუდჰარი, გოტამ ნარა-სიმჰანი, ნიკოლას რიზი, იდა ჰილესტედი, ერიკ ნაიმანი, ქრისტოფერ კიპი, ჯაზ სმიტ-ხაირა, ჯოზიან გალეა ბარონი, ანა მარია გონზალეზ რუისი და მარია პია ბიანჩეტი; Save the Children: დავინია ოვეტ ბონდი, სამმართველოს უფროსი, Save the Children Child Rights and Business Global Hub და კოლეგები Save the Children-ის გლობალური მოძრაობიდან; გაეროს გლობალური შეთანხმება: მარი ლოუ დუპონი და გრიეტ კატაერტი.

რედაქტირებულია კატრინ რუტჯერსის მიერ.

ნაწყვეტები ამ საინფორმაციო ბუკლეტიდან შეიძლება გამოყენებულ იქნას შესაბამისი მითითებით.

დამატებითი ინფორმაციისათვის, იხილეთ: https://www.unicef.org, https://www.savethechildren.net and https://www.unglobalcompact.org

UNICEF მადლობას უხდის კომპანიას Lego Group ამ ანგარიშის თანადაფინანსებისთვის.

©ILO/Crozet M.

მსოფლიოში, სადაც ბიზნესი სოციალურ და ეკონომიკურ სფეროსთან მჭიდროდაა დაკავშირებული, ბიზნესის საქმიანობა, პრაქტიკულად, ყველა ბავშვზე ახდენს გარკვეულ ზემოქმედებას – ბავშვი, როგორც პროდუქტებისა და სერვისების მომხმარებელი მარკეტინგისა და რეკლამების მეშვეობით; ბავშვი, როგორც ახალგაზრდა მუშახელი ან ბავშვთა შრომაში მონაწილე; ბავშვი, როგორც დასაქმებული პირის შვილი; ბავშვი, როგორც ციფრული პლატფორმების მომხმარებელი, ან ბავშვი გარემოში, სადაც ცხოვრობს და თამაშობს.

ამგვარად, არის ბავშვის უფლებები ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის შემადგენელი ნაწილი?

მიუხედავად პროგრესისა, ჯერ კიდევ არა.

წინამდებარე საინფორმაციო ბუკლეტში განხილულია ორგანიზაციების: UNICEF, UN Global Compact და Save the Children ერთობლივი ანგარიში.

ბავშვთა უფლებებისა და ბიზნესის გზამკვლევი

2012 წელს, ორგანიზაციებმა: UNICEF, გაერთიანებული ერების გლობალურმა შეთანხმებამ და Save the Children, შექმნეს ერთობლივი დოკუმენტი: „ბავშვის უფლებები და ბიზნესის პრინციპები“ (CRBPs). აღნიშნული პრინციპები მომზადდა ბავშვებთან, ბიზნესებთან, ინვესტორებთან, მთავრობებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, პროფესიულ კავშირებთან, ადამიანის უფლებების ეროვნულ ინსტიტუტებთან და გაეროს სააგენტოებთან კონსულტაციების საფუძველზე.[1]

„გაეროს ბიზნესისა და ადამიანის უფლებათა სახელმძღვანელო პრინციპების“ (UNGPs)[2] საფუძველზე, CRBP ითვალისწინებს უფრო პრაქტიკულ მიდგომას ბავშვის უფლებათა კონვენციის (CRC) ბიზნესთან დასაკავშირებლად. ბიზნესის სამყაროში მოიაზრება ბიზნეს ინსტიტუტები, სახელმწიფო პოლიტიკის შემქმნელები, ინვესტორები, ასევე, სხვა დაინტერესებული მხარეები და მათ შორის არსებული ურთიერთობა.

ბიზნესის მხრიდან ბავშვის უფლებათა პატივისცემა მოითხოვს ნეგატიური ზემოქმედების პრევენციას, შერბილებასა და გამოსწორებას.

„ბავშვის უფლებებისა და ბიზნესის პრინციპები“ (CRBPs) ძირითად აქცენტს აკეთებს ზეგავლენაზე, რომელსაც იწვევს ბიზნესის საქმიანობა, მაგ. სამუშაო პირობები, უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, პროდუქტები და მომსახურება, მარკეტინგი და რეკლამა, უსაფრთხოება, მიწის შეძენა და სარგებლობა. პრინციპები მოიცავს ბიზნესის ზემოქმედებას გარემოზე და მშობლებზე/მზრუნველებზე[3] . CRBPs-ის მთავარი გზავნილია, რომ ბიზნესი გავლენას ახდენს ბავშვის უფლებების ფართო სპექტრზე და არა მხოლოდ ბავშვთა შრომაზე.

ადამიანის უფლებების, მათ შორის, ბავშვის უფლებების პატივისცემა, მდგრადი განვითარების წინაპირობაა. კლიმატზე და გარემოზე ზრუნვა და მოქმედება გლობალური მნიშვნელობისაა და სოციალურ სამართლიანობას მოითხოვს. უდავოა, რომ 2030 წლისთვის მდგრადი განვითარების დღის წესრიგი ვერ შესრულდება, თუ ბიზნესი არ იქნება ჩართული. მდგრადობის მისაღწევად, ბიზნესს უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრება - მის ქცევას უარყოფითი შედეგები არ უნდა მოჰყვეს.

ბავშვის უფლებების დაცვა და პატივისცემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მდგრადი განვითარებისთვის, რადგან ეს ხელს უშლის სიღარიბისა და გარიყულობის თაობიდან თაობაზე გადაცემას. ჭეშმარიტი სარგებელი როგორც ბავშვებისთვის, ისე ფართო საზოგადოებისათვის, მაშინ დგება, როცა ბავშვთა უფლებები დაცულია.

---

1. დოკუმენტი „ბავშვის უფლებები და ბიზნეს პრინციპები ხელმისაწვდომია: http://childrenandbusiness.org
2. გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი, ‘სახელმძღვანელო პრინციპები ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ: გაეროს „დაიცავი, პატივი ეცი და გამოასწორე“ მიდგომა, OHCHR, ნიუ-იორკი და ჟენევა, 2011 წ. ხელმისაწვდომია არაბულ, ჩინურ, ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ და ესპანურ ენებზე: https://www.ohchr.org/en/publications/reference-publications/guiding-principles-business-and-human-rights
3. გაერო, ბავშვის უფლებათა კონვენცია, ნიუ-იორკი, 20 ნოემბერი, 1989 წლ. სრული ტექსტი, ადაპტირებული ვერსია და სხვა რესურსები იხილეთ: https://www.unicef.org/child-rights-convention

სამუშაო ადგილი
ბაზარი
საზოგადოება და გარემო
პრინციპი 1:
ბავშვის უფლებათა ინტეგრაცია
პოლიტიკის ვალდებულება
ყოველმხრივი ანალიზი
გამოსწორება
პრინციპი 2:
ბავშვთა შრომა
პრინციპი 3:
ახალგაზრდა მუშაკები, მშობლები და მზრუნველები
პრინციპი 4:
ბავშვთა დაცვა და უსაფრთხოება
პრინციპი 5:
პროდუქტები და სერვისები
პრინციპი 6:
მარკეტინგი და რეკლამა
პრინციპი 7:
გარემო და მიწა
პრინციპი 8:
უსაფრთხოება
პრინციპი 9:
საგანგებო სიტუაციები
პრინციპი 10:
საზოგადოებისა და მთავრობის ძალისხმევა

ბიზნეს სექტორის გავლენა ბავშვებზე

ბიზნეს სექტორს ჯანმრთელობის, განათლებისა და ეკონომიკური კეთილდღეობის სფეროებში უმნიშვნელოვანესი წვლილი შეაქვს და ასევე, დიდ როლს ასრულებს ბავშვთა კეთილდღეობისა და გადარჩენის კუთხით, თუმცა, ასევე, რეალობაა ის ფაქტი, რომ ბიზნესის ქცევას შეუძლია, უარყოფითი გავლენა მოახდინოს ბავშვებზე.

მთელ მსოფლიოში ტექნოლოგიები სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს სასკოლო და სოციალურ ცხოვრებაში, თუმცა, ბავშვები ონლაინ ექსპლუატაციისა და ძალადობის კუთხით კვლავაც დიდი საფრთხის წინაშე იმყოფებიან. მათ მონაცემებს ხშირად იყენებენ ინფორმირებული თანხმობის გარეშე და ალგორითმები ონლაინ გამოცდილებებს ფარული გზებით აყალბებენ.

არაჯანსაღი საკვები პროდუქტების მარკეტინგი და რეკლამა ხელს უწყობს ბავშვებში ჭარბწონიანობისა და სიმსუქნის სწრაფ ზრდას, რაც, საბოლოო ჯამში, გრძელვადიან პერიოდში, ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედებს. ფართოდ გავრცელებული გენდერული სტერეოტიპები რეკლამებში და მარკეტინგში, ზღუდავს გოგონების სასწავლო მიღწევებს და ეკონომიკურ შესაძლებლობებს; ბიჭების შემთხვევაში, შეიძლება შეიზღუდოს მათი ოჯახურ ცხოვრებაში ჩართულობა და გაიზარდოს გენდერული ძალადობის ფაქტები.

კლიმატის კრიზისი ბავშვის უფლებების კრიზისია, რადგან ის ქმნის გარემოსდაცვით, ეკონომიკურ და სოციალურ გამოწვევებს ჯანმრთელობის, კვების, განათლების, დაცვისა და ბავშვთა მონაწილეობის მიმართულებით; ასევე, წარმოშობს გამოწვევებსა და სტრესს, რაც საფრთხეს უქმნის ბავშვთა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას.[4]

რეალური მონაცემები ბავშვებზე

- ერთი მილიარდი ბავშვი, ანუ, ბავშვთა მოსახლეობის თითქმის ნახევარი, ცხოვრობს კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ზემოქმედების „უაღრესად მაღალი რისკის“ ქვეშ;
- 800 მილიონ ბავშვზე მეტი იმყოფება ძალიან სახიფათო ზემოქმედების ქვეშ, კერძოდ, ტყვიით მოწამვლის რისკის ქვეშ, რადგან ბიზნეს სექტორის დიდი წილი ვერ უზრუნველყოფს ტყვიის მჟავის ელემენტების სათანადო გადამუშავებას;
- ასობით მილიონობით ბიჭი და გოგონა კვლავაც იმყოფება ონლაინ ექსპლუატაციისა და ძალადობის რისკის წინაშე;
- დაახლოებით 160 მილიონი ბავშვი, ანუ, ყოველი მეათე ბავშვი მსოფლიოში, ჩართულია ბავშვთა შრომაში და აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრის კუთხით, უკუსვლა შეიმჩნევა კოვიდ 19-ის პანდემიის კონტექსტში.
- გოგონები გაცილებით მაღალი რისკის წინაშე არიან გენდერული დისკრიმინაციის ნიშნით, ვიდრე ბიჭები.

4. გაეროს ბავშვთა ფონდი, კლიმატის კრიზისი არის ბავშვთა უფლებების კრიზისი: „ბავშვთა კლიმატის რისკების ინდექსი, UNICEF-ის კომუნიკაციის დეპარტამენტი, ნიუ-იორკი, 2021 წ., https://www.unicef.org/media/105376/file/UNICEF-climate-crisis-child-rights-crisis.pdf; Save the Children, Born into the Climate Crisis: Why we must act now to secure children's rights, 2021: https://resourcecentre.savethechildren.net/

თუ ბავშვის უფლებები ყურადღების ცენტრში არ არის, ის ვერასოდეს გახდება პრიორიტეტული ბიზნესის საქმიანობაში

ბიზნეს სექტორის სტანდარტები და პოლიტიკა, რომელიც ზრდასრულ ადამიანებზეა მორგებული, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ის ბავშვებსაც იცავს. მაშინაც კი, როცა უფლებებზე დაფუძნებული მიდგომები ბიზნესის პასუხისმგებლიან ქცევასთან მიმართებით, კანონმდებლობაშია გაწერილი და ხორციელდება, ბავშვები - მსოფლიო მოსახლეობის 30 პროცენტი, ყურადღების მიღმა რჩებიან.

ბავშვთა გამოცდილებები და მათი ურთიერთობები სამყაროსთან და ბიზნესთან განსხვავდება ზრდასრული ადამიანების გამოცდილებებისა და ურთიერთობებისაგან. ბავშვები ფსიქოლოგიურად, სოციალურად და ფიზიკურად განვითარების ფაზაში მყოფი ადამიანები არიან და ეს მათ განსაკუთრებით დაუცველს ხდის მათი უფლებების დარღვევის შემთხვევაში. უფრო მეტიც, ისინი დამოკიდებულნი არიან მშობლებზე, სხვა მზრუნველებზე და ფართო საზოგადოებაზე. ზრდასრული ადამიანების მსგავსად, გამოწვევების წინაშე იმყოფებიან ბავშვებიც.

“ბავშვის უფლებების დარღვევა განსაკუთრებით მძიმეა, რადგან ამას მოჰყვება ძალიან მძიმე და გრძელვადიანი შედეგი ბავშვის განვითარებაზე“– ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N16 (2013), პუნქტი 24

თუმცა, ეს არ ნიშნავს ბავშვების წარმოჩენას ისე, თითქოს ყველაფერი მხოლოდ მათ თავს ხდება. ბავშვის უფლებათა კონვენცია (CRC) განსაზღვრავს ბავშვების უფლებას, რომ მათ ხმას მოუსმინონ და ჰქონდეთ გავლენა იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მათ ეხება — მათი ასაკის შესაბამისად. ბავშვებს ხშირად საკმაოდ მკაფიო აზრი გააჩნიათ საკუთარ და მათ ირგვლივ არსებულ სიტუაციაზე. შრომის პირობების კვლევისას, მაგალითად, ერთმა ბავშმა ძალიან მარტივად თქვა: „მიეცით ჩვენს მშობლებს ადეკვატური ანაზღაურება, რათა ბავშვებს არ მოგვიწიოს სკოლების მიტოვება“. ბავშვების ემპათიური და მტკიცე ლიდერობა კლიმატის ცვლილებებზე კიდევ ერთი კარგი მაგალითია.



პროგრესი

ბიზნესს წინსვლა აქვს ბავშვთა უფლებების ინტეგრირების კუთხით, თუმცა წინ ჯერ კიდევ დიდი გზაა.

2012 წელს, ბავშვთა შრომის შესახებ ცნობიერება საკმაოდ ზოგადი გახლდათ. ეს შესაძლოა, ბიზნესისა და მთავრობებისათვის მნიშვნელოვან საკითხად ითვლებოდა, თუმცა, ბავშვის უფლებათა კონვენციაში განსაზღვრული უფლებების სრულ სპექტრზე ბიზნესის ზემოქმედების აღიარება საკმაოდ ლიმიტირებული იყო. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვთა შრომა მიიჩნეოდა უარყოფით ზეგავლენად ბავშვებზე და ძირითად გამოწვევად ბიზნესისათვის, შორსმჭვრეტელი ბიზნესების, სამოქალაქო საზოგადოებისა და თავად ბავშვების ძალისხმევამ, ხელი შეუწყო უფრო ფართო აღიარებას იმისა, რომ ბავშვთა შრომის აღმოფხვრა კრიტიკულად მნიშვნელოვანია ბავშვთა უფლებების დაცვისათვის. ბავშვთა უფლებების დარღვევის სხვადასხვა ფორმა შესაძლოა ერთმანეთთან მჭიდროდ იყოს დაკავშირებული, მაგალითად, ბავშვთა შრომა და ბავშვთა ტრეფიკინგი[5]. ძალადობის ერთი ფორმა ხშირად სხვა უფლებების დარღვევის შედეგია, რაც აუცილებელია, გავითვალისწინოთ, თუ ძირეული მიზეზების აღმოფხვრა გვსურს.

ბრძოლა სამ ურთიერთდამოკიდებულ ფლანგზე

2012 წლიდან, სამი ურთიერთდამოკიდებული მიდგომა გაჩნდა, რომელმაც ბიზნესის პასუხისმგებლიან ქცევაში ბავშვთა უფლებების ინტეგრირება უზრუნველყო. აღნიშნული მიდგომები ერთმანეთს ავსებს და თითოეული მათგანი აუცილებელია სრულყოფილი განხორციელებისათვის.

პირველი მიდგომა ითვალისწინებს, რომ ბიზნესმა ნებაყოფლობით შეაფასოს მათი საქმიანობის ზემოქმედება ბავშვებზე, განსაზღვროს პრიორიტეტები და შეცვალოს პრაქტიკა, რათა გადაჭრას ყველაზე სერიოზული პრობლემები ბავშვებთან მიმართებით. როგორც წესი, ეს ქმედება ინტეგრირებულია ადამიანის უფლებების დაცვასა და მდგრადობასთან. ბიზნეს ასოციაციები და პლატფორმები მთავარ როლს ასრულებენ ბიზნესის მოქმედებების მხარდასაჭერად, მაგ. ზოგიერთი სექტორი დარგობრივ სტანდარტებსა და მეთოდოლოგიებსაც კი ავითარებს. არსებულმა პრაქტიკამ აჩვენა, რა მუშაობს ეფექტიანად და რომელი შედეგი შეიძლება იყოს არასასურველი, როდესაც ინიციატივები მხოლოდ ერთ საკითხზე კონცენტრირდება.

მეორე წარმოადგენს უფრო სიღრმისეულ და სისტემურ მიდგომას ბიზნესის წარმოების „პირობებთან“ დაკავშირებით. ბიზნეს სამყარო არ არის მხოლოდ ცალკეული კომპანიების ერთობლიობა – ეს არის ურთიერთობების, მოთამაშეების, პრაქტიკის, კანონების, პირობების, ინვესტორების, კაპიტალდინებების, დაინტერესებული მხარეების და ა.შ. მთელი სისტემა. მნიშვნელოვანი ნაბიჯია, კანონმდებლობის დონეზე აისახოს ადამიანის უფლებების დაცვის სავალდებულო ხასიათი[6]. ევროკავშირის დირექტივის სამუშაო ვერსია, რომელიც ადამიანის უფლებების სავალდებულო სათანადო შეფასების ცნების დანერგვას ითვალისწინებს, ყველაზე მნიშვნელოვანი თანამედროვე მაგალითია, თუმცა ბავშვთა უფლებები ამ შემოთავაზებულ კანონმდებლობაში საკმარისად ჯერ კიდევ არ არის წარმოჩენილი.

---

5. იხილეთ, მაგალითად, Save the Children Australia, 2020, Submission to Department of Foreign Affairs and Trade Consultation on International Strategy on Human Trafficking and Modern Slavery, 2020-05-01-Submission-to-DFAT-Consultation-on-Trafficking-Strategy.pdf.aspx (https://www.savethechildren.org.au)

6. იხილეთ, მაგალითად: Human Rights Council, 'Guiding Principles on Business and Human Rights at 10: Taking stock of the first decade', Report of the Working Group on the issue of human rights and transnational corporations and other business enterprises (A/HRC/47/39), United Nations, 22 April 2021, https://documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/G21/093/82/PDF/G2109382.pdf?OpenElement

პასუხისმგებლიანი ინვესტორები და ფინანსური ინსტიტუტები იწყებენ ბავშვის უფლებათა გათვალისწინებას გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით (ESG) შეფასებებში, რათა ინვესტიციებთან დაკავშირებით ინფორმირებული გადაწყვეტილებები მიიღონ. ასევე, ითვალისწინებენ სამეურვეო საქმიანობაში, რათა ბავშვთა უფლებების კუთხით ინვესტორი კომპანიების საქმიანობის ეფექტურობა გაუმჯობესდეს. ESG-ის სტანდარტიზაციის ინიციატივები და შეფასების სააგენტოები თანმიმდევრულად იწყებენ ინდიკატორების გამოყენებას ბავშვთა უფლებების სხვადასხვა საკითხებსა და ბავშვთა შრომაში; ეს არის უფრო ფართო მოძრაობის ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს შედეგების მონიტორინგს უფლებების მატარებლებთან დაკავშირებით. თუმცა, პროგრესი საკმაოდ მცირეა.

© Jonathan Hyams / Save the Children

მესამე მიდგომა აერთიანებს უფრო ფართო პოლიტიკასა და პრაქტიკას ბავშვებისათვის ისეთ სფეროებში, როგორიცაა ჯანმრთელობა, ნუტრიცია, განათლება, ბავშვთა დაცვა ან კლიმატის ცვლილებებზე რეაგირება და ითვალისწინებს ბიზნესის უარყოფითი ზემოქმედების პრევენციას და შერბილებას. *ერთ-ერთი მაგალითია ბიზნესისა და მთავრობის ერთობლივი ინიციატივები ოჯახზე-ორიენტირებული სამუშაო (მათ შორის, სამუშაო სივრცე) პირობების შესახებ. ოჯახზე-ორიენტირებული ბიზნესის პოლიტიკა და პრაქტიკა მნიშვნელოვან დადებით ზეგავლენას ახდენს ბავშვებზე, მაგ. ისეთ საკითხებში, როგორიცაა ბავშვთა ადრეული განვითარება, ბავშვთა შრომის პრევენცია და ბავშვთა ჯანმრთელობა. კიდევ ერთი მაგალითია არაჯანსაღი საკვები პროდუქტების მარკეტინგსა და რეკლამაზე მოქმედება უფრო ფართო სტრატეგიის ფარგლებში, რათა თავიდან იქნას აცილებული ბავშვებში ჭარბწონიანობა და სიმსუქნე.*

მიმართულების გზამკვლევი შემდეგი ათწლეულისათვის: ბავშვზე ორიენტირებული ბიზნესის განვითარება

ბიზნესები, ინვესტორები და მთავრობები საკმარის ძალაუფლებას ფლობენ იმისათვის, რომ იმედის მომცემი განვითარება რუტინულ პრაქტიკად გადააქციონ. კოვიდ პანდემიის ზემოქმედება და კონფლიქტები, კლიმატის ცვლილებასთან ერთად, ძალიან ბუნდოვან ეკონომიკურ მომავალს ქმნიან. თუმცა, მდგრადობა უნდა იყოს მთავარი ორიენტირი როგორც კრიზისის დროს, ასევე ჩვეულებრივ პერიოდებში; გლობალური მდგრადობის მიმართულებით სამიზნე შედეგების მიღწევა გართულდება, თუ ბავშვთა უფლებები და ბავშვების ხმა არ იქნება ამ პროცესის მთავარი წარმმართველი.

დროთა განმავლობაში, ბიზნესის მხრიდან ბავშვებზე ნეგატიური გავლენის საწინააღმდეგო,სისტემატური ქმედებები სოციალური პრობლემების მასშტაბს მნიშვნელოვნად შეამცირებს.

ცხადია, ბავშვებზე ბიზნესის უარყოფითი ზემოქმედების აღკვეთა ბავშვთა კეთილდღეობისა და გადარჩენის კუთხით არსებულ ყველა გამოწვევას ვერ აღმოფხვრის, თუმცა, ბიზნესი, რომელიც საკუთარ საქმიანობაში ან საქმიან ურთიერთობებში, სისტემატურად აღკვეთს და შეარბილებს ადამიანის უფლებებზე მისი ოპერაციების, პროდუქტებისა თუ სერვისების გავლენას, ფუნდამენტური მნიშვნელობისაა მასშტაბური ზემოქმედების თვალსაზრისით, რადგან ეს ბავშვებისა და ოჯახების წინაშე არსებული გამოწვევების მასშტაბსშეამცირებს. ამისთვის აუცილებელია დამატებითი მოქმედებები ყველა მონაწილე მხარის მხრიდან.

შემდგომი 10 წლის განმავლობაში, ბავშვთა უფლებები ბიზნესისა და ადამიანის უფლებების პროგრამების მნიშვნელოვან ნაწილად უნდა იქცეს. თუ ბავშვთა უფლებები ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების მექანიზმებსა და ღონისძიებებში არ აისახება, არსებობს რისკი, რომ ბავშვთა საკითხები საერთოდ არ განიხილონ. საჭიროა იმის აღიარება, რომ **ბიზნესს შესაძლებელია, უარყოფითი გავლენა ჰქონდეს ბავშვის უფლებათა სრულ სპექტრზე და არა მხოლოდ ბავშვთა შრომაზე.** დარღვეული უფლებების აღდგენის მექანიზმები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ბავშვებისა და მათი წარმომადგენლებისათვის – წვდომა აღდგენით საშუალებებზე ანგარიშვალდებულების აუცილებელი ნაწილია.

უარყოფითი ზემოქმედების შემცირება კრიტიკულად მნიშვნელოვანია ბიზნესის ბავშვებთან დაკავშირებული მიზნების მიღწევისათვის.

თანამედროვე პირობებში პასუხისმგებლიანი ბიზნესი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან მას შეუძლია მოახდინოს გავლენა როგორც მასშტაბურ სოციალურ, ისე გარემოსდაცვით გადაწყვეტილებებზე.

განსაკუთრებით დაიხვეწა მიდგომები, საერთო ღირებულებები – „ფულის კეთება კარგი საქმის კეთების გზით“ ბიზნეს სექტორისთვის ძალიან მიმზიდველი გახდა. თუმცა, პოზიტიური ინვესტიცია ერთ სფეროში არ აკომპენსირებს ზიანის მიყენებას სხვა სფეროში.

თუ ბავშვთა უფლებები ყურადღების ცენტრში არ იქნება და არ მოხდება მისი სისტემური ინტეგრირება ბიზნესის პასუხისმგებლიან ქცევაში, თითოეული შემთხვევის მართვა გამოწვევა გახდება.

შემდგომი ათი წლის განმავლობაში, პროაქტიული მთავრობა იქნება არსებითად მნიშვნელოვანი ბავშვებთან მიმართებით პასუხისმგებლიანი ბიზნესის მხარდასაჭერად. აღნიშნული მოიცავს სათანადო სამართლებრივი და ინსტიტუციური მექანიზმების განვითარებას ბავშვთა უფლებების დაცვის, პატივისცემისა და განხორციელებისათვის.

ადამიანის უფლებათა სავალდებულო შეფასება გლობალური მასშტაბით ძალიან მნიშვნელოვანია. ასევე მნიშვნელოვანია ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე ადამიანის უფლებათა შეფასების სავალდებულო მექანიზმების შექმნა, თუმცა,ბავშვებისათვის მას შედეგი ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელმისაწვდომი იქნება თავად ბავშვებისათვის და აისახება ბავშვთა უფლებებზე ორიენტირებულ გეგმებში, შესაბამისი რესურსებით.

გარდა ამისა, რეგულაციები უნდა იყოს მკაფიო და განსაზღვრავდეს, თუ რა ევალება ბიზნესს ბავშვებზე უარყოფითი ზემოქმედების პრევენციისათვის. **მთავრობის მოვალეობაა, ბიზნესთან დაკავშირებული პოლიტიკური და საკანონმდებლო დოკუმენტების შემუშავებისას, ბავშვის უფლებათა კონვენციის პრინციპები გაითვალისწინოს.** ბიზნეს საქმიანობის სხვადასხვა სფერო ასახულია ბავშვთა უფლებების და ბიზნესის პრინციპებში (CRBPs), თუმცა, მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ბავშვის უფლებათა კონვენციის პრინციპები აისახოს ისეთ სფეროებში, რომელიც ერთი შეხედვით არ არის დაკავშირებული ბავშვის უფლებებთან, თუმცა, უზარმაზარ გავლენას ახდენს მათზე. მაგალითად, ასეთია ვაჭრობის პოლიტიკა.

ბავშვის უფლებათა სხვადასხვა ინდიკატორზე დაფუძნებული ESG ანალიზი პროგრესისთვის წარმოადგენს როგორც მნიშვნელოვან შესაძლებლობას, ასევე არსებით კომპონენტს. საჭიროა, დაინერგოს ESG-ის უფრო ქმედითი მოდელები და შეფასდეს არა მხოლოდ ის, თუ რა გაკეთდა, არამედ ის, თუ რა შედეგია მიღწეული – ეს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ბავშვთა უფლებებისათვის, არამედ ზოგადად, ადამიანის უფლებებისათვის.

© UNICEF/UN0215999

ფინანსურ სექტორს გააჩნია უნიკალური შესაძლებლობა, გადადგას ნაბიჯი ბავშვთა უფლებების დასაცავად.

მატერიალური რისკის სათანადო გააზრება — როგორც არა მხოლოდ რისკი კომპანიისთვის, არამედ რისკი ყველა მონაწილე მხარისა და მათი უფლებებისთვის (ორმაგი მატერიალურობა) — აუცილებელია იმისათვის, რომ ადამიანის და ბავშვთა უფლებები სათანადოდ იქნას გათვალისწინებული საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

ეს გავლენა კიდევ უფრო ძლიერდება, როდესაც ინვესტორები საერთო ინიციატივების გარშემო ერთიანდებიან.

ჩვენ მოვუწოდებთ ბიზნესის სფეროს, მთავრობებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს, უზრუნველყონ ბავშვთა უფლებების გათვალისწინება შემდეგი გზით:

ბავშვზე მორგებული ბიზნესი – კავშირის დამყარება უფლებებსა და მდგრად განვითარებას შორის.

- ბავშვის უფლებებზე ბიზნესის უარყოფითი ზემოქმედების აღმოფხვრა მკაფიოდ და სრულყოფილად უნდა ინტეგრირდეს ბიზნესის პასუხისმგებლიან ქცევაში და ბიზნესის მიერ გლობალური მდგრადი განვითარების მხრივ ნაკისრ ვალდებულებებში. აღიარებული უნდა იყოს, რომ „ბავშვის საუკეთესო ინტერესები“ არის ბავშვის უფლებათა ძირითადი პრინციპი.
- წარმოების პროცესის შესაძლო რისკები ბავშვებისათვის უნდა იყოს ბიზნესის ზემოქმედების შეფასებისა და მდგრადობის ანგარიშგების რეგულარული და სისტემური ნაწილი.
- ბავშვის უფლებების პოლიტიკა და ამ კუთხით საქმიანობა აუცილებელია ბიზნესის თითოეულ კომპონენტში იყოს გათვალისწინებული; ეს უნდა იყოს ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა, რომელიც მკაფიოდ ინტეგრირდება მდგრადობის ღონისძიებებში.
- ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის მექანიზმები უნდა მოიცავდეს ბავშვთა მონაწილეობის მხარდაჭერას, რაც მომგებიანი იქნება როგორც ბავშვებისათვის, ისე რისკის პრევენციისა და შერბილებისათვის.
- ბიზნესის სათანადო შეფასება უნდა იყოს მომავალზე ორიენტირებული, მიზნად ისახავდეს უკეთეს პრაქტიკას და ბავშვთა უფლებების დაცვის ეფექტიან მექანიზმებს.
- სახელმწიფოსა და კერძო სექტორის მობილიზაცია ბავშვის კონკრეტულ უფლებებთან დაკავშირებული პრობლემების ძირეული მიზეზების აღმოსაფხვრელად აუცილებელია, აერთიანებდეს ბავშვებზე მათი ქცევის ზემოქმედებას, აქტივებსა და ექსპერტიზას. როცა კერძო სექტორი მონაწილეობს კონკრეტული პროგრამების დანერგვასა და მასშტაბების გაფართოებაში, მან აუცილებელია, განსაზღვროს, თავად რა უარყოფითი ზემოქმედება შეიძლება ჰქონდეს შედეგებზე.
- მცირე და საშუალო საწარმოების დახმარების მიზნით, ბიზნეს ასოციაციებმა უნდა განახორციელონ დარგობრივი ანალიზი სხვადასხვა მიმართულებით, რაც განსაზღვრავს შესაძლო ზემოქმედებას ბავშვებზე.

მარეგულირებელი და პოლიტიკის მექანიზმები

- მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ, რომ კორპორაციული მარეგულირებელი ჩარჩო დოკუმენტები, რომლებიც შეეხება სათანადო შეფასებას, არაფინანსურ დეკლარაციებს, გამჭვირვალობას, დაცვას და სამართლებრივ პასუხისმგებლობას, მოიცავდეს ბავშვის უფლებებს და განხორციელდეს ხელმისაწვდომი და ბავშვზე ორიენტირებული ფორმით. სათანადო რესურსები უნდა იქნას გამოყოფილი ბავშვებისთვის გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის მექანიზმების მონიტორინგის, განხორციელებისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.
- ევროკავშირის ინსტიტუტები და წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ევროკავშირის დირექტივა „კორპორაციული მდგრადობის სათანადო შეფასების“ შესახებ და სხვა შესაბამისი საკანონმდებლო რეფორმები ითვალისწინებდნენ ბავშვთა უფლებების ეფექტიან განხორციელებას.
- პოლიტიკის შემუშავება ბავშვის უფლებათა გათვალისწინებით, გულისხმობს, რომ მთავრობებმა უზრუნველყონ ბიზნესსექტორთან დაკავშირებულ ნებისმიერ პოლიტიკასა თუ რეგულაციაში ასახული იყოს ბავშვებზე ბიზნესის ზემოქმედებაც.

შედეგზე ორიენტირებული გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი შეფასებები (ESG) ბავშვებისათვის

- შედეგზე ორიენტირებული ბავშვთა უფლებების ESG ინდიკატორების შემუშავება და პილოტირება უნდა გახდეს კერძო სექტორისა და მთავრობის თანამშრომლობის ნაწილი;
- ბავშვების შესახებ ძირითადი ინდიკატორები უნდა გაერთიანდეს ინიციატივებში, რომელიც ითვალისწინებს მინიმალური საერთო ESG სტანდარტების განსაზღვრას და ბავშვთა ინტერესების გათვალისწინებას.

ინვესტორების გავლენა

- ინვესტიციების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას, ფინანსური სექტორი სისტემატურად უნდა იყენებდეს ბავშვის უფლებათა ინდიკატორების მთელი სპექტრის ESG მონიტორინგსა და ანგარიშგებას.
- აუცილებელია, დაინერგოს ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის უფლებათა აქტიურ ინტეგრაციას პასუხისმგებლიან მმართველობაში.
- ბავშვის უფლებებთან დაკავშირებული კოლექტიური ინიციატივები უნდა გახდეს ინვესტორთა პრიორიტეტი შემდგომი 10 წლის განმავლობაში.

საერთაშორისო განვითარება და სისტემური მოქმედება ბიზნესის უარყოფითი ზემოქმედების წინააღმდეგ

- განვითარებაზე მომუშავე ორგანიზაციებმა თავიანთ სტრატეგიებში უნდა ასახონ არა მხოლოდ ბიზნესთან დაკავშირებული ცალკეული ინიციატივები, არამედ თანამშრომლობა ბიზნესთან უნდა განიხილონ სისტემურ მიდგომად, რომელიც მიზნად ისახავს ბავშვებისთვის პოზიტიური შედეგების მიღწევას.

ეს გულისხმობს ბიზნეს აქტორებთან და მარეგულირებელ ორგანოებთან თანამშრომლობას, რათა ეფექტიანად და დროულად აიცილონ თავიდან არასასურველი ზემოქმედება, უზრუნველყონ მისი გრძელვადიანი პრევენცია და გააძლიერონ ბიზნესის ანგარიშვალდებულება.

- ბიზნეს სექტორის გამოწვევებისა და შესაბამისი რეაგირების განსაზღვრა უნდა გახდეს ბავშვთა მდგომარეობის ანალიზის ნაწილი და ინტეგრირდეს სტრატეგიულ დაგეგმარებაში.

ბავშვების მოსმენა

- ყველა მონაწილე მხარეს უნდა გააჩნდეს ბავშვთა მონაწილეობის მექანიზმები, რომლებიც დაეხმარება ბავშვებს გაძლიერებაში და ბიზნესთან და გადაწყვეტილების მიმღებებთან დიალოგში ჩართვაში, სადაც განიხილება ისეთი საკითხები, რომლებიც მათ ეხებათ. ამგვარად, ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევა წაახალისებს მომავალი თაობების იდეებსა და ხმას.

UNICEF/UN0364417/Aliaga Ticona

თითოეული ბიზნესი ვალდებულია:

1. შეასრულოს საკუთარი პასუხისმგებლობა, პატივი სცეს ბავშვთა უფლებებს და აიღოს ბავშვების ადამიანის უფლებების მხარდაჭერის ვალდებულება;
2. წვლილი შეიტანოს ბავშვთა შრომის აღმოფხვრაში, მათ შორის, საკუთარ ბიზნეს საქმიანობაში და ბიზნეს ურთიერთობებში;
3. ახალგაზრდებს, მშობლებსა და მზრუნველებს შესთავაზოს ღირსეული სამუშაო;
4. უზრუნველყოს ბავშვთა დაცვა და უსაფრთხოება ბიზნეს საქმიანობის თითოეულ სფეროში და სამუშაო სივრცეში;
5. უზრუნველყოს პროდუქტებისა და მომსახურებების უსაფრთხოება და ბავშვთა უფლებების მხარდაჭერა მათი მეშვეობით;
6. გამოიყენოს მარკეტინგი და რეკლამა, რომელიც პატივს სცემს და მხარს უჭერს ბავშვის უფლებებს;
7. პატივი სცეს და მხარი დაუჭიროს ბავშვთა უფლებებს გარემოსთან, მიწის შეძენასა და სარგებლობასთან დაკავშირებით;
8. პატივი სცეს და ხელი შეუწყოს ბავშვთა უფლებების დაცვას უსაფრთხოების ღონისძიებებში;
9. დაეხმაროს საგანგებო სიტუაციებით დაზარალებულ ბავშვებს;
10. გააძლიეროს საზოგადოებრივი და მთავრობების ძალისხმევა ბავშვის უფლებათა დასაცავად და განსახორციელებლად;